

ადამიანის უფლებათა კომიტეტი

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი

მე-16 ზოგადი კომენტარი: მე-17 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება)

პირადი ცხოვრების, ოჯახის, საცხოვრებელი ადგილისა და კორესპონდენციის პატივისცემის უფლება, ადამიანის ღირსებისა და რეპუტაციის დაცვა

1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი ითვალისწინებს ყველა ადამიანის უფლებას - დაცული იყოს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, ისევე როგორც საცხოვრებელისა და კორესპონდენციის ხელშეუხებლობაში თვითნებური ჩარევისაგან და უკანონოდ არ შეზღუდონ მათი ღირსება და რეპუტაცია. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამ უფლების მნიშვნელობისთვის სულ ერთია, უკანონო ხელყოფას სახელმწიფო დაწესებულებები ახორციელებენ, თუ - ფიზიკური ან იურიდიული პირები. მე-17 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელია, რომ ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური ჩარევისა და პატივისცემისა თუ ღირსების უკანონოდ შემზღვევის აკრძალვისა და ამ უფლებით სარგებლობის მიზნით სახელმწიფომ საკანონმდებლო და სხვა სახის აუცილებელი ზომები მიიღოს.

2. კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ მომზადებულ ეროვნულ ანგარიშებში სათანადოდ არ არის აღწერილი, თუ როგორ იცავენ ამ უფლებას საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებები და ზოგადად - სახელმწიფოში არსებული სხვა დაწესებულებები. არასათანადო ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ პაქტის მე-17 მუხლი კრძალავს როგორც უკანონო, ისე - თვითნებურ ჩარევას. შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვა უმთავრესად სახელმწიფოს კანონმდებლობით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ამ დროისთვის, კომიტეტის მიერ მიღებული ეროვნული ანგარიშებში ან საერთოდ არ არის მოხსენიებული კანონმდებლობა ან მოცემული ინფორმაცია საკმარისი არ არის.

3. ტერმინი - 'უკანონო' გულისხმობს კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა ამ უფლებით დაცულ სფეროში ნებისმიერი ფორმით ჩარევას. სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული ჩარევა კანონით უნდა იქნეს გაწერილი და თავად ეს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს პაქტის დებულებებს, მის მიზნებსა და დანიშნულებას.

4. ტერმინი - 'თვითნებური ჩარევა' მე-17 მუხლით გათვალისწინებული უფლების შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს ტერმინი კანონით გათვალისწინებულ ჩარევაზეც ვრცელდება. თვითნებურობის აკრძალვის მიზანია უზრუნველყოს, რომ უფლებით სარგებლობაში კანონით გათვალისწინებული ჩარევიაც კი შესაბამისობაში იყოს პაქტის დებულებებთან, მის მიზანსა და დანიშნულებასთან; ასეთი ჩარევა კონკრეტული შემთხვევისა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით გონივრული უნდა იყოს.

5. 'ოჯახი' პაქტის მე-17 მუხლის მინიმუმისთვის ფართოდ უნდა განიმარტოს. ტერმინი მოიცავს ყველა იმ პირს, რომელიც ცალკეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს საზოგადოებაში ოჯახის წევრად მიიჩნევა. პაქტის მე-17 მუხლში გამოყენებული ტერმინი - 'სახლი' (ინგლისურად - 'home', არაბულად - 'manzel', ჩინურად - 'zhùzhái', ფრანგულად - 'domicile', რუსულად - 'zhilische' და ესპანურად - 'domicilio') გულისხმობს ადგილს, სადაც კონკრეტული პირი ცხოვრობს ან ეწევა ჩვეულებრივ საქმიანობას. შესაბამისად, კომიტეტი მოუწოდებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომ ეროვნულ ანგარიშში გაითვალისწინონ მათ საზოგადოებაში 'ოჯახისა' და 'სახლის' ცნებების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ადამიანის უფლებათა კომიტეტი

6. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეროვნული ანგარიში უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას იმ დაწესებულებებისა და ორგანოების შესახებ, რომლებიც ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაში უფლებამოსილი არიან კანონის შესაბამისად მოახდინოს მე-17 მუხლით გათვალისწინებულ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ავტორიზაცია. კომიტეტისთვის აგრეთვე უადრესად მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმ დაწესებულებების საქმიანობის შესახებ, რომლებსაც კანონის მკაცრი მოთხოვნების დაცვით პაქტის მე-17 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცულ სფეროში ჩარევის შემთხვევებზე ზედამხედველობა ევალებათ. ამასთან, კომიტეტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს ინფორმაციას იმ სუბიექტების შესახებ, რომლებსაც პაქტით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის შემთხვევებში სამართლებრივი დავის აღძვრის უფლება აქვთ. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა კომიტეტს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, რეალურად შეესაბამება თუ არა პრაქტიკა სამართლებრივ მოცემულობას. ეროვნულ ანგარიშებში გათვალისწინებული უნდა იყოს ინფორმაცია პაქტის მე-17 მუხლში მოცემული უფლებით დაცულ სფეროში თვითნებური და უკანონო ჩარევების საკითხზე აღძრული სამართლებრივი დავების, უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და მათი აღსრულების შესახებ.

7. ვინაიდან ყველა ადამიანი საზოგადოების ნაწილია, პირადი ცხოვრების დაცვა ყოველთვის ფარდობითია. თუმცა, უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებს პირადი ხასიათის მხოლოდ ისეთ ინფორმაციაზე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი, რომლის ცოდნაც აუცილებელია საზოგადოების ინტერესებისთვის, როგორც ამას პაქტი ითვალისწინებს. შესაბამისად, კომიტეტი მოუწოდებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომ ეროვნულ ანგარიშებში გაწერონ ინფორმაცია იმ საკანონმდებლო აქტებისა და რეგულაციების შესახებ, რომლებიც ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის შესაძლებლობას ითვალისწინებენ.

8. მაშინაც კი, როდესაც პირად ცხოვრებაში ჩარევა პაქტის დებულებებთან შესაბამისობაშია, ეროვნულ კანონმდებლობაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, თუ რა შემთხვევებში იქნება გამართლებული ამგვარი შეზღუდვა. უფლებამოსილი ორგანოს მიერ ავტორიზებული ჩარევა საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მხოლოდ კანონმდებლობით წინასწარ განსაზღვრული დაწესებულების მიერ უნდა მოხდეს. პაქტის მე-17 მუხლი მოითხოვს, რომ კორესპონდენციის ხელშეუხებლობა და საიდუმლოება დაცული უნდა იყოს როგორც *de jure*, ისე - *de facto*. კორესპონდენციამ ადრესატამდე შეუფერხებლად, სხვა პირის მიერ გაუხსნელად და წაუკითხავად უნდა მიაღწიოს. ელექტრონული თუ სხვა სახის თვალთვალი, მათ შორის: სატელეფონო საუბრების მიყურადება, ტელეგრაფისა და სხვა მიმოწერის შემოწმება, სატელეფონო მოსმენა და საუბრების ჩაწერა აკრძალული უნდა იყოს. სახლის ჩხრეკა მხოლოდ მტკიცებულების შეგროვების აუცილებლობით განპირობებულ შემთხვევებში იქნება დასაშვები და არ უნდა გაუტოლდეს შევიწროებას. პირადი ჩხრეკის შემთხვევებში გათვალისწინებული უნდა იყოს პირის ღირსება და აუცილებელია ჩხრეკის სათანადო ფორმის შერჩევა. საჯარო მოხელეების ან სამედიცინო პერსონალის მიერ პირის ჩხრეკა უნდა მოხდეს იმავე სქესის წარმომადგენლის მიერ.

9. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან პაქტის მე-17 მუხლი და უკანონოდ ან თვითნებურად არ ჩაერიონ ამ უფლებით დაცულ სფეროში; ამავდროულად, მათ უნდა უზრუნველყონ ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც აკრძალავს ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ამ უფლების არამართლზომიერ შეზღუდვას.

10. საჯარო დაწესებულებებისა თუ ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ კომპიუტერებში, საბანკო მონაცემებში და სხვა სახის წყაროებში დაცული პირადი ინფორმაციის შეგროვებასა და შენახვას კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ქმედითი ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ადამიანის უფლებათა კომიტეტი

პირადი ცხოვრების დეტალების შემცველი ინფორმაცია არ აღმოჩნდეს იმ პირების ხელში, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად არ არიან უფლებამოსილნი, რომ მიიღონ ან გამოიყენონ ამგვარი ინფორმაცია; ან არ მოხდეს ამ ინფორმაციის ისეთი მიზნებისთვის გამოყენება, რომლებიც პაქტის დებულებებს არ შეესაბამება. პირადი ცხოვრების ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება იყოს ინფორმირებული და თავად გადაწყვიტოს, სურს თუ არა, რომ მის შესახებ არსებული პირადი ინფორმაცია ცალკეულ ბაზებში იყოს დაცული და რა მიზნებისთვის უნდა მოხდეს აღნიშნული მონაცემების გამოყენება. თუკი ამ ბაზებში ცალკეული პირის შესახებ არასწორი მონაცემებია დაცული ან თუკი ამ ინფორმაციის მოპოვება ან დამუშავება უკანონოდ მოხდა, მას უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს მათი ჩასწორება ან წაშლა.

11. პაქტის მე-17 მუხლი იცავს პირთა ღირსებას და რეპუტაციას; ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან ამ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა. ყველა პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ თავი დაიცვას პატივისა და ღირსების შელახვისგან. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ ქვეყანაში ხელმისაწვდომი სამართლებრივი მექანიზმები არსებობს. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ეროვნულ ანგარიშებში უნდა გაითვალისწინონ ინფორმაცია, თუ რამდენად არის დაცული კანონით პირის ღირსება და რეპუტაცია და რა საშუალებები არსებობს ქვეყანაში უკანონო და თვითნებური შეზღუდვებისაგან თავის დასაცავად.



ზოგადი კომენტარი ითარგმნა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით.